გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 101

2020 წლის 14 აგვისტო

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, სოფ. ზემო ნიქოზში მდებარე მიწის ნაკვეთზე ს/კ 66.41.04.025 განთავსებული შენობა-ნაგებობიდან (შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 1128.60 კვ.მ.) 30 კვ.მ უძრავი ქონების, პირობიანი აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია ფ/პ ჟუჟუნა მარიამიძეს (N1815 28.01.2020წ.) განცხადება, რომელშიც მოითხოვა, სოფ. ნიქოზში მდებარე, გორის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობიდან ს/კ 66.41.04.025 (შენობა-ნაგებობის საერთო ფართობი 1128.60 კვ.მ) 30 კვ.მ იჯარის ფორმით გადაცემა, სამკერვალოს გასახსნელად.

აუდიტორული კომპანიის შპს „აუდიტეკონომიქსი"-ს მიერ 2020 წლის 19 ივნისს „უძრავი ქონების შეფასების შესახებ" გრ-№41 დასკვნით, გორის მუნიციპალიტეტი, სოფ ზემო ნიქოზში ს/კ 66.41.04.025 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 8518.00 კვ.მ საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 76 662.00 ლარით, შენობა-ნაგებობის 1128.60 კვ.მ საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 338 580.00 ლარით.

გამომდინარე იქიდან, რომ გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლების მიღების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, სოფ. ნიქოზში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობიდან (ს/კ 66.41.04.025), ფართობით 30 კვ.მ, პირობიანი აუქციონის წესით, დროებითი

სარგებლობის უფლებით (იჯარა) გაცემა, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო ღირებულება და ქირის საწყისი წლიური საფასური.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის, საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. ზემო ნიქოზში მდებარე ს/კ 66.41.04.025, არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა ნაგებობიდან (შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 1128.60 კვ.მ) 30 კვ.მ უძრავი ქონება გასცეს, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის ფორმით.

2.გორის მუნიციპალიტეტის, სოფ. ზემო ნიქოზში მდებარე ს/კ 66.41.04.025, არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა ნაგებობიდან (შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 1128.60 კვ.მ) 30 კვ.მ, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 9000 (ცხრაათასი) ლარით.

3.საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 600 (ექვსასი) ლარით.

4.იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 2 (ორი) წლის ვადით.

5. აუქციონის პირობად განისაზღვროს:

ა) სოფ. ზემო ნიქოზში მდებარე ს/კ 66.41.04.025, არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა ნაგებობიდან (შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 1128.60 კვ.მ) 30 კვ.მ - უძრავ ქონებაზე მოეწყოს სამკერვალო ობიექტი.

6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე